

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
Grigol Robakidze University

ხელნაწერის უფლებით  
With the right of manuscript

თეა ჯუღელი  
Tea Jugeli

„ვალდებულების შესრულების სუბიექტები“  
„Obligation Fulfillment Subjects“

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი  
Educational program: Law

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
Thesis submitted for the degree of Doctor of Laws

რეზიუმე

Abstract

თბილისი

Tbilisi

2024

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თეა ჯუღელი

„ვალდებულების შესრულების სუბიექტები“

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

რეზიუმე

თბილისი

2024

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი:

ზურაბ ძლიერიშვილი,

სამართლის დოქტორი,

პროფესორი

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის  
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, თბილისი,  
ირინა ენუქიძის №3 (აღმაშენებლის ხეივანი  
მე-13 კმ)

## სარჩევი

შესავალი .....	4
კვლევის მიზანი და ამოცანები .....	11
მეცნიერული ჰიპოთეზა.....	13
დასკვნა .....	19

## შესავალი

1997 წლის 25 ნოემბრიდან საქართველოში ამოქმედდა ახალი სამოქალაქო კოდექსი, რომელიც გერმანული სამართლის რეცეფციის შედეგს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, საქართველოს კანონმდებლობა მთლიანობაში მეტწილად იზიარებს ევროკავშირის კანონმდებლობის სულისკვეთებას, არსებობს ცალკეული საკითხები უშუალოდ ვალდებულების შესრულების სუბიექტებთან დაკავშირებით, რომლებიც საკმარისი სიცხადით არ არის ფორმულირებული ან რეგლამენტირებული, რაც წარმოშობს პრაქტიკულ სირთულეებს და ქმნის სამართალურთიერთობის მონაწილეთათვის უფლების დაცვასთან დაკავშირებულ რისკებს. აღნიშნულ საკითხებს შორის აღსანიშნავია ვალდებულების შესრულების სუბიექტებისა და სამართალურთიერთობის მონაწილეთა გამიჯვნასთან დაკავშირებული სირთულეები; ციფრული პლატფორმის მეშვეობით ხელშეკრულების დადებისას მომხმარებელთა უფლებების დამცავი კანონმდებლობის საკმარისად განსაზღვრულობისა და შემოთავაზებული დაცვის საერთაშორისო დირექტივებთან შესაბამისობის საკითხები;

არასახელმწიფო ვალდებულების, კერძოდ, ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის დროს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი სუბიექტის განსაზღვრის პრობლემა, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა, ობიექტური გამართლება და სამართლებრივი ჩარჩოს საკმარისი განსაზღვრულობა. ზემოაღნიშნულ საკითხთა საკანონმდებლო მოწესრიგება ხასიათდება არასრულყოფილი/ფრაგმენტური და ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანი რეგლამენტაციით, რაც ზრდის კვლევის ინტერესს.

საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების კვალდაკვალ ყოველდღიურად იზრდება მოთხოვნა ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის დამყარებაზე. სამართალურთიერთობის მონაწილეები, ხელმეორეულების თავისუფლების პრინციპზე დაყრდნობით, ხშირად თანხმდებიან იმგვარ სამართლებრივ ურთიერთობაზე, რომელიც პირდაპირ არ არის მოწესრიგებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსით . ვალდებულების შესრულების შემთხვევაში უფლების ეფექტიანი დაცვის მიზნით, პირველ რიგში, დგება

ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტების იდენტიფიცირების საკითხი, რაც ყოველთვის არ წარმოადგენს მარტივ სამართლებრივ საქმეს. ზოგჯერ მხარისათვის სრულიად ბუნდოვანია, ვინ არის მის წინაშე შესრულების განხორციელებაზე ვალდებული პირი. აღნიშნული განსაკუთრებით პრობლემურია ციფრულ ეპოქაში ციფრულ პლატფორმებზე ხელშეკრულების დადებისას. ამ დროს მომხმარებლისათვის/შემძენისათვის ბუნდოვანი და გაურკვეველია, ვისთან ამყარებს სამართლებრივ ურთიერთობას, უფრო მეტიც, პრობლემურია პლატფორმის პროვაიდერისა და მესამე პირის/გამყიდველის პასუხისმგებლობის ფარგლების ერთმანეთისაგან გამიჯვნის, მათი სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისა და ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში პასუხისმგებელი სუბიექტის იდენტიფიცირების საკითხები. აღნიშნული პრობლემა აშკარა დაბრკოლებებს წარმოშობს იმ დროს, როცა ისეთ ციფრულ პლატფორმებზე ვაჭრობა, როგორცაა Amazon, eBay უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ამდენად, მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და ეფექტური სამართლებრივი ჩარჩოს უზრუნველყოფა, მათ შორის,

სამართალურთიერთობის მონაწილე სუბიექტთა შორის პასუხისმგებლობის განაწილების კუთხით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ამასთანავე კერძოსამართლებრივი ურთიერთობებში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ვალდებულებითი ურთიერთობის სუბიექტებისა და უშუალოდ შესრულების სუბიექტთა ერთმანეთისაგან გამიჯვნა და მათი უფლებრივი მდგომარეობის ანალიზი. საგულისხმოა, რომ ცალკეულ სამართლებრივ ურთიერთობაში შეიძლება წარმოიშვას კონფლიქტი ვალდებულების შესრულების სუბიექტებთან დაკავშირებით, კერძოდ, მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებას შეიძლება შეეწინააღმდეგოს უშუალოდ მოვალე ობიექტური საფუძვლიდან გამომდინარე. რა შემთხვევაში შეიძლება/არ შეიძლება მოვალის პატივსადები საფუძვლის გათვალისწინება, რა სპეციფიკით ხასიათდება შესრულების სუბიექტთა დადგენის პროცესი (ამ შემთხვევაში კვლევისთვის განსაკუთრებით საინტერესოა საპენსიო რეფორმის ფარგლებში ვალდებულების შესრულების სუბიექტების საკითხი, როგორც ახალი თვისობრივად განსვავებული სამართლებრივი ურთიერთობა), რა ეფექტი აქვს მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებას.



სწორედ დასახელებულ საკითხთა პრაქტიკული მნიშვნელობა განაპირობებს მეტწილად საკვლევი თემის აქტუალურობასაც.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია სწორედ ვალდებულების შესრულების სუბიექტთა სტატუსი და მათი სამართლებრივი მდგომარეობა, სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებების შემთხვევაში ვალდებულების შესრულების სამართლებრივი შედეგები, გამოკვლეულია ვალდებულებითი ურთიერთობების მონაწილეთა, ისევე როგორც უშუალოდ ვალდებულების შესრულების სუბიექტთა უფლება-მოვალეობების მიმართება, ის სამართლებრივი პრობლემები, რომლებიც შესაძლოა მოჰყვეს თანამედროვე გლობალური ტექნოლოგიების განვითარების შემთხვევაში ციფრული პლატფორმის მონაწილეთა უფლებების რეალიზებას. ნაშრომში განსაზღვრულია სამართლებრივ პრობლემათა გადაჭრის გზები, ეროვნული და უცხო ქვეყნის სასამართლო პრაქტიკისა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე, შემუშავებულია საკანონმდებლო ხარვეზების

აღმოფხვრის საშუალებები, მათ შორის, საკანონმდებლო აქტებში ცვლილების შეტანის თაობაზე წინადადებები.

და კვლევის საფუძველზე შეთავაზებულია თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე რეკომენდაციები.

საგულისხმოა, რომ დასახელებული საკითხების განხილვა არსებული სასამართლო პრაქტიკისა და სამეცნიერო ლიტერატურის სინთეზურ გაანალიზებასა და სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს. სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას შესწავლილი იქნა როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნების კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა, ასევე განხორციელდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ცალკეულ გადაწყვეტილებათა ანალიზი. სწორედ ამ მიზნით, ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: შედარებით-სამართლებრივი; სისტემური; ანალიტიკური; აბსტრაგირების; ანალოგია.

## ნაშრომის მეცნიერული სიახლე

1. სადისერტაციო ნაშრომით პირველად განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ვალდებულების შესრულების სუბიექტთა სტატუსის, მათი უფლება-მოვალეობების, ვალდებულებითი ურთიერთობის მონაწილეთა და მხარეთა გამიჯვნის საკითხების სიღრმისეული ანალიზი, სამეცნიერო ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის სისტემური კვლევის საფუძველზე. კვლევის შედეგად შემუშავებულ იქნა ვალდებულების შესრულების სუბიექტთა და მხარეთა გამიჯვნის კრიტერიუმები, სუბიექტთა სამართლებრივი სტატუსი და უფლება-მოვალეობების ფარგლები.

2. კვლევის საფუძველზე განხორციელდა ქსელურ ხელშეკრულებებში ჩართულ პირთა, როგორც ვალდებულებითი ურთიერთობის სუბიექტთა სამართლებრივი მდგომარეობის ანალიზი და არსებული პრობლემების იდენტიფიცირება;

3. კვლევის საფუძველზე, პირველად განხორციელდა საკენსიო რეფორმის ფარგლებში არსებული მოწესრიგების

სიღრმისეული ანალიზი და ჩამოყალიბდა შესაბამისი მეცნიერული დასკვნები.

## კვლევის მიზანი და ამოცანები

### კვლევის მიზნებია:

- შესწავლილ იქნას ვალდებულების შესრულების სუბიექტთა სტატუსი და სამართლებრივი პროცედურა ცალკეულ სამართალურთიერთობებთან მიმართებით საქართველოს და უცხო ქვეყნის კანონმდებლობების ანალიზის გზით;
- გამოვლინდეს ვალდებულების შესრულების სუბიექტთა განსაზღვრასთან დაკავშირებული თავისებურებანი, სამართალურთიერთობის მონაწილე პირთა უფლებების ეფექტიანად დაცვის მიზნით;

- კვლევის საფუძველზე შემუშავებულ იქნეს კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სამართალურთიერთობის მონაწილეებს ცალკეული სამართლებრივი ურთიერთობების დამყარებასა და სამართლებრივი შედეგების განჭვრეტაში.

### **კვლევის ამოცანებია:**

- ვალდებულების შესრულების ცნებისა და სუბიექტების სამართლებრივი მდგომარეობის ანალიზი;
- საქართველოს კანონმდებლობაში არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების დეტალური მიმოხილვა და კანონმდებლობის მიღმა დარჩენილი საკითხების იდენტიფიცირება;
- ანგლო-ამერიკული და კონტინენტური სამართლის სისტემის მქონე ქვეყნების კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შედარებითი ანალიზი;

- საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან (დირექტივებთან) საქართველოს კანონმდებლობის თავსებადობის კვლევა;
- კვლევის პროცესში გამოვლენილი გადაუწყვეტი საკითხების სრულად მოწესრიგებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- ვალდებულების შესრულების სუბიექტების სტატუსთან დაკავშირებით გამოვლენილი საკანონმდებლო ხარვეზის აღმოსაფხვრელად შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის შემუშავება.

### მეცნიერული ჰიპოთეზა

ვალდებულების შესრულების პროცესში ვალდებულების შესრულების სუბიექტებისა და მათი უფლებამოსილების ფარგლების დადგენასთან დაკავშირებული ხარვეზები

სავარაუდოდ, აღმოიფხვრება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის ევროპულ დირექტივებთან და სტანდარტებთან ჰარმონიზაციის შემთხვევაში.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, რვა თავისა და დასკვნისაგან.

ნაშრომის შესავალი ნაწილი მოიცავს ისეთი საკითხებს განხილვას, როგორებიცაა: საკვლევი პრობლემატიკა და კვლევის აქტუალობა; კვლევის მიზანი; კვლევის ამოცანები; მეცნიერული ჰიპოთეზა; სტრუქტურა; მეცნიერული სიახლე.

ნაშრომის პირველ თავში განიხილება კვლევის თეორიული კონტექსტი. ზემოაღნიშნული თავი მოიცავს მსჯელობას შემდეგ საკითხებზე: ვალდებულების შესრულების არსი და სამართლებრივი შედეგები ლიტერატურის ანალიზის გზით;

ნაშრომის მეორე თავი ეთმობა კვლევისა და კვლევის მეთოდოლოგიას, სადაც კვლევის შედეგები წარმოდგენილია შეჯამების სახით.

ნაშრომის მესამე თავი ეძღვნება ვალდებულების შესრულების სუბიექტთა წრეს. ამ ნაწილში განხილულია სხვისი ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი კომპონენტები, კერძოდ, სხვისი ვალდებულების გაცნობიერებული შესრულება, როგორც მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების აუცილებელი წინაპირობა, ნაშრომის მესამე თავი მოიცავს მსჯელობას შესრულების პირადად განხორციელების შემთხვევებზე, მესამე პირის მიერ გამოხსნის უფლების გამოყენების თავისებურებაზე. ამავე თავში განხილულია ასევე მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებისა და ვალის გადაკისრების ურთიერთმიმართების საკითხი.

ნაშრომის მეოთხე თავში საუბარია სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების სუბიექტთა უფლებამოსილების ფარგლებზე, კერძოდ, მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებისას მოვალის დაცვის იმგვარ გარანტიებზე, როგორებიცაა ვალდებულების შესრულების დადასტურების მტკიცების საშუალება: მესამე პირის, ასევე თავდების მიერ ხანდაზმული ვალდებულების შესრულების



ეფექტი უშუალოდ მოვალისათვის. ამავე თავში განხილულია გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში თავდების, როგორც ვალდებულების შესრულებაზე სოლიდარულად პასუხისმგებელი პირის, დაცვის საშუალებები.

მეხუთე თავი შეეხება სუბროგაციის შემთხვევაში ვალდებულების შესრულების სუბიექტების განსაზღვრის თავისებურებებს. აღნიშნულ თავში განხილულია სუბროგაციის არსი, მზღვეველზე სუბროგაციული მოთხოვნის გადასვლის ფარგლები, სუბროგაციის წესით მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული პრაქტიკული სირთულეები და მათი გადაჭრის გზები.

მეექვსე თავი შეეხება დაგროვებითი პენსიის დროს ვალდებულების შესრულების თავისებურებებს. აღნიშნულ თავში საუბარია დაგროვებითი პენსიის არსებული სისტემის არსზე, დაგროვებითი პენსიის საჯარო თუ კერძო სამართლისადმი მიკუთვნების ფაქტზე, საპენსიო სქემაში ჩართულ სუბიექტთა სტატუსსა და სამართლებრივ

მდგომარეობაზე, ასევე საპენსიო სქემის არსებული მოდელის კონსტიტუციურ-სამართლებრივ ასპექტებზე.

მეშვიდე თავი შეეხება ელექტრონული კომერციის პროცესში მხარეთა ინტერესების დაცვასთან დაკავშირებულ გამოწვევებს. აღნიშნულ თავში განხილულია ელექტრონული კომერციის სამართლებრივი რეგლამენტაცია, ციფრული პლატფორმის არსი, მხარეები, მომხმარებელთა ინტერესების დამცავი საკანონმდებლო მოწესრიგება, მათ შორის პერსონალური მონაცემების დაცვის კონტექსტში.

მერვე თავში განხილულია მომეტებული საფრთხის წყაროს რეალიზაციის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილ სუბიექტთა წრის განსაზღვრის თავისებურებანი, კერძოდ, სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის, როგორც ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის, გამიჯვნა სატრანსპორტო საშუალების მფლობელისგან. ამავე თავში შეფასებულია ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებულ სირთულეებზე არსებული სასამართლო პრაქტიკა. ამავე

თავში საუბარია დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების სუბიექტთა თავისებურებაზე, ქმედუნარიანობაზე, როგორც მოთხოვნის წარმოშობის აუცილებელ წინაპირობებზე, გაანალიზებულია როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების სამართლებრივი სისტემები.

ნაშრომის დასკვნით ნაწილი ითვალისწინებს კვლევის შედეგად შემუშავებულ რეკომენდაციებს, რომელთა მიზანია საკვლევი საკითხების საქართველოს კანონმდებლობაში სრულყოფა, ასევე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის განვითარება.

## დასკვნა

კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული დასკვნები შეიძლება შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს:

1. კვლევის შედეგად დადგინდა ვალდებულების შესრულების სუბიექტებისა და ვალდებულების სუბიექტების ურთიერთმიმართების საკითხი. კერძოდ, ვალდებულებითი ურთიერთობის რელატიური ხასიათის მიუხედავად, ვალდებულების შესრულების სუბიექტები შეიძლება ყოველთვის არ იყოს ვალდებულების სუბიექტების იდენტური. შედეგად გამოიკვეთა საქართველოს კანონმდებლობის არჩევანი პროკრედიტორული კონცეფციის სასარგებლოდ, რომლის მიხედვითაც, მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებისას არ მოითხოვება მოვალის თანხმობის არსებობა, უფრო მეტიც, მისი საწინააღმდეგო ნება არ წარმოადგენს კრედიტორისათვის მბოჭავი ხასიათის მოქმედებას.

კრედიტორი ამ შემთხვევაშიც აღიჭურვება მხოლოდ შესრულების მიღების უფლებამოსილებით.

აუცილებელია აღინიშნოს პროკრედიტორული კონცეფციის აღიარებისა და კრედიტორისათვის აბსოლუტური თავისუფლების და მისი ნების პრიორიტეტულობის უპირობო აღიარების უარყოფითი ასპექტები: აღნიშნულმა შეიძლება წარმოშვას სირთულეები მოვალის ინტერესების დაცვის პროცესში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა კრედიტორი არაკეთილსინდისიერად უარყოფს მესამე პირის მიერ განხორციელებულ შესრულებას უარის თქმის კანონით განსაზღვრული საფუძვლების არარსებობის შემთხვევაში. კრედიტორის მსგავსმა ქმედებამ, შესაძლოა შექმნას მოვალისათვის არსებითი ზიანის მიყენების საფრთხე, შედეგად, მოვალისა და კრედიტორის ინტერესებს შორის კრედიტორის სასარგებლოდ გონივრული ბალანსის დარღვევის რისკები. მსგავს შემთხვევაში მიზანშეწონილია განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინოს კრედიტორის მიერ უფლების კეთილსინდისიერად

განხორციელების ფაქტის დადგენამ და ამ უკანასკნელის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში მოვალის ინტერესების სათანადო დაცვის უზრუნველყოფამ. მოვალის ინტერესების დამცავ ერთ-ერთ საშუალებად შეიძლება დადგინდეს კრედიტორის ვადის გადამცილებლად ჩათვლა, შედეგად, ნივთის შემთხვევითი დაღუპვისა და დაზიანების რისკის კრედიტორზე გადატანა და მოვალისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უარყოფა.

2. სსკ-ის ხარვეზად უნდა იქნეს მიჩნეული მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად შესრულების სუროგატივ სამართლებრივი შედეგების მოუწესრიგებლობა, კერძოდ, კანონმდებელი არ ახდენს მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად შესრულების სუროგატის დასაშვებობისა და მისი სამართლებრივი შედეგების განჭვრეტის შესაძლებლობას, მაშინ როცა მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების შემთხვევაში პირდაპირ მიუთითებს შესრულების სუროგატის გამოყენების დასაშვებობაზე.

სამართალურთიერთობაში მესამე პირის როლისა და სამართლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული მესამე პირის მიერ შესრულების სუროგატით ვალდებულების შესრულების შეზღუდვა. საკითხის მსგავსი განმარტება სრულ შესაბამისობაშია სსკ-ის 442-ე მუხლის დანაწესთან, რომელიც ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვისათვის ერთ-ერთ სავალდებულო წინაპირობად ადგენს ორ პირს შორის ურთიერთმოთხოვნების არსებობას. მესამე პირის მიერ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შემთხვევაში, არ არის მოცემული აღნიშნული ელემენტი, კერძოდ, მესამე პირსა და კრედიტორს შორის არ არსებობს ურთიერთმოთხოვნები, რაც ასევე აბრკოლებს ამ ინსტიტუტის გამოყენების ობიექტურ შესაძლებლობას. ამდენად, ამ შემთხვევაში ნორმათა სისტემური განმარტების საფუძველზე უნდა გამოირიცხოს მესამე პირთა მიერ შესრულების სუროგატით ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა.

3. მესამე პირის მიერ სხვისი ვალდებულების შესრულების მოტივების დადგენისას, მათ შორის გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი შესრულების შემთხვევაში, გადამწყვეტად უნდა იქნეს მიჩნეული ობიექტურ კრეტერიუმებზე დაფუძნებული მიმღების თვალსაწიერი. საკითხის მსგავსი გადაწყვეტა არ იწვევს მესამე პირის უფლებრივი მდგომარეობის გაუარესებას. აღნიშნულის მიუხედავად, რეკომენდირებულია მესამე პირებმა შესრულებისას მიუთითონ საკუთარი თუ სხვა პირის ვალდებულების შესრულების განზრახვაზე. მითითება შეიძლება განხორციელდეს აშკარა ან კონკლიუდენტური ფორმით, რაც საკანონმდებლო დონეზეც შეიძლება მოწესრიგდეს.
  
4. კვლევის საფუძველზე განისაზღვრა, რომ საქართველოს კანონმდებლობის სისტემური ანალიზის შედეგად, მკაცრად პირადი ხასიათის ვალდებულების შესრულება მოვალის ნაცვლად მესამე პირის მიერ არ არის ნებადართული. მიუხედავად საქართველოს კანონმდებლობით



მკაცრად პირადი ხასიათის ვალდებულების მესამე პირის მიერ შესრულების გამორიცხვისა, ამგვარი შესრულების განხორციელებისას, მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული, შესრულების მიღების კრედიტორის ნებაზე დამოკიდებულება, რათა დაცულ იქნეს კრედიტორის ინტერესები.

5. სრულად უნდა იქნეს გაზიარებული კანონმდებლობაში არსებული დაშვება მკაცრად პირადი ხასიათის ურთიერთობის შემთხვევაშიც, დამხმარე პირთა მონაწილეობის დასაშვებობის თაობაზე. ამგვარი აკრძალვა მართოდენ გაართულებდა სამოქალაქო ბრუნვას და დააბრკოლებდა მოვალის მიერ განსაკუთრებით დიდი მოცულობის სამუშაოების არსებობისას მისი შესრულების შესაძლებლობას.
6. კვლევის შედეგად გამოიკვეთა სსკ-ის 372-ე მუხლის განსხვავებული განმარტების საჭიროება. სამოქალაქო სამართალურთიერთობის მრავალფეროვნების გათვალისწინებით, შესაძლებელია მესამე პირს

ჰქონდეს პირადი ინტერესი მოვალის ნაცვლად ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ. საქართველოს კანონმდებლობით აღნიშნული მოცემულია იმ შემთხვევაში, როცა მოვალის ქონების მიმართ მესამე პირს გააჩნია რაიმე ინტერესი ( სსკ-ის 372-ე მუხლი) ან როდესაც მესამე პირის ქონებაა გამოყენებული მოვალის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად და ვალდებულების შეუსრულებლობის გამო არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მესამე პირი დაკარგავს თავის უფლებას ქონებაზე. აღნიშნული გამართლებულია მესამე პირთა ინტერესების დაცვის საჭიროებით. ამასთან, დასახელებულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 372-ე მუხლი მიუთითებს ნივთებზე, რომლებსაც მარტოოდენ სხეულებრივი საგნები მიეკუთვნება, არ უნდა მოხდეს განსახილველი მუხლის ვიწრო, სიტყვასიტყვითი განმარტება. მესამე პირის ინტერესის დაცვის ანალოგიური საჭიროება და უფლების დარღვევის მსგავსი რისკები დგება იმ შემთხვევაშიც, როცა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად

გამოყენებულია არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. ამდენად, მიზანშეწონილია სსკ-ის 372-ე მუხლის ნორმატიული შინაარსის იმგვარი განმარტება, რომ ის გავრცელდეს არა მხოლოდ ნივთებზე, არამედ ზოგადად, ქონებაზე, რომელიც სსკ-ის 147-ე მუხლის თანახმად, აერთიანებს როგორც ნივთებს, ისე არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს.

7. კვლევის საფუძველზე განისაზღვრა პროკრედიტორული კონცეფციის აღიარების შედეგები და მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებისას მოვალის დაცვის საჭიროებები. მოვალის დაცვის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა მესამე პირის მოქმედება იწვევს მოვალისთვის ქონებრივი ზიანის მიყენებას. ზოგადად, მსგავსი შემთხვევების არსებობისას, მიზანშეწონილია მოვალე აღჭურვილ იქნეს უფლების დაცვის ეფექტიანი მექანიზმებით. ამგვარ შემთხვევად შეიძლება შეფასდეს ხანდაზმული მოთხოვნის მესამე პირის მიერ შესრულება. საქართველოს კანონმდებლობით განსახილველი

საკითხის მოუწესრიგებლობის პირობებში, მიზანშეწონილია მისი განმარტება განხორციელდეს სამართლის ზოგადი პრინციპების (სამართლიანობის, კეთილსინდისიერების) საფუძველზე. ვალდებულების შესრულების პროცესში მოვალის ნების სრული უგულებელყოფა არ უნდა იქნეს მიჩნეული მოვალის ინტერესებთან თავსებადად. მსგავსი დაშვება მარტოდენ წაახალისებდა კრედიტორის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებას და კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო მოქმედებას. ამასთან, მსგავსი შემთხვევის დაშვება და ხანდაზმული მოთხოვნის მოვალისათვის დაკისრება, მიზანშეწონილია შეფასდეს თავად ხანდაზმულობის მოთხოვნის არსთან შეუსაბამოდ. ხანდაზმულობის შესაგებლის გამოყენება წარმოადგენს მოვალის ექსკლუზიურ უფლებას, რომლის გამოყენებაც ამ უკანასკნელზეა დამოკიდებული. მესამე პირის მიერ ხანდაზმული მოთხოვნის შესრულების დაშვება ხანდაზმულობის შესაგებლის აღიარებას ილუზორულად აქცევდა. ამდენად, მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული მესამე პირის მიერ

ხანდაზმული მოთხოვნის შესრულების ნამდვილობის მოვალის ნებაზე დაქვემდებარება და შესრულების საწინააღმდეგო ნების არსებობისას, მესამე პირისათვის მოვალის მიმართ მოთხოვნის უფლების მინიჭების გამორიცხვა.

8. კვლევის შედეგად საინტერესო მიგნებები დადგინდა თავდების პასუხისმგებლობის ფარგლებთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხის განმარტების საჭიროება წარმოიშობა გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების შემთხვევაში, ვინაიდან განსახილველი ხელშეკრულებისა და თავდებობის ხელშეკრულების დადება ხდება, როგორც წესი, ერთდროულად, თუმცა საბანკო კრედიტის ინდივიდუალური ხელშეკრულება ფორმდება მოგვიანებით. ამასთან, მსგავს შემთხვევაში, თითოეული საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოთხოვნის უზრუნველყოფისათვის აღარ მოითხოვება ცალკე თავდებობის ხელშეკრულების დადება, რადგან მსგავსი დაშვება მნიშვნელოვნად გაართულებდა სამოქალაქო ბრუნვას

და ხელს შეუშლიდა ბრუნვის სტაბილურობის მიზნის მიღწევას. სსკ-ი თუმცა ანიჭებს თავდებს მსგავს შემთხვევაში თავდაცვის ეფექტურ და ვარგის ინსტრუმენტებს, რაც გამოიხატება ხელშეკრულებაში თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითებით, მაინც შეიძლება წარმოიშვას სირთულეები. ამ შემთხვევაში თავდებს მოეთხოვება გამოიჩინოს საკმარისი წინდახედულება სწორედ თავდებობის ხელშეკრულების დადებისას ზღვრული თანხის მითითების პროცესში. აღნიშნული მექანიზმი სრულად უზრუნველყოფს თავდების ინტერესის სათანადოდ დაცვას, ამასთან, კრედიტორის უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციას, თუმცა თავდების ინტერესების ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული მტკიცების ტვირთის იმგვარი განაწილება, რომ თავდების მიერ კრედიტორის არაკეთილსინდისიერ ქმედებაზე აპელირებამ და შესაბამისი ფაქტების მითითებამ გამოიწვიოს მტკიცების ტვირთის შებრუნება. მსგავსი

განმარტება შეიძლება ასევე გამართლდეს კრედიტორის საბაზრო ძალაუფლებით.

9. კვლევის ფარგლებში გაანალიზებულ და იდენტიფიცირებულ იქნა სუბროგაციული მოთხოვნის რეალიზაციისას წარმოშობილი მთელი რიგი პრობლემები შესრულებაზე უფლებამოსილი და ვალდებული სუბიექტების განსაზღვრის, ასევე მისი მოთხოვნის ფარგლების თვალსაზრისით. სუბროგაციული მოთხოვნის გავრცელება დაზღვევის ყველა სახის მიმართ არ იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად, რაც დასაბუთდა სსკ-ის სისტემური განმარტებიდან და ცალკეული დაზღვევის სახის თავისებურებიდან. დაზღვევის იმ სახედ, რომლის მიმართაც არ უნდა გავრცელდეს სუბროგაციული მოთხოვნა, დასახელდა სიცოცხლის დაზღვევა. პირადი დაზღვევის სპეციფიკა, ზიანის დაზღვევისაგან განსხვავებით, მდგომარეობს იმაში, რომ ამგვარი ზიანის შეფასება ობიექტურად შეუძლებელია. ამდენად, ობიექტურ სირთულეს უკავშირდება ამ ზიანის კონკრეტული კომპენსაციის

გადახდის გზით დაკმაყოფილება. სწორედ აღნიშნული თავისებურების გათვალისწინებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ამ ტიპის დაზღვევაზე სუბროგაციული მოთხოვნის გაუვრცელებლობა.

10. კვლევის შედეგად ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად განისაზღვრა მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შემდეგ მზღვეველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გადასვლის ფარგლები და მოთხოვნის რეალიზაციის მექანიზმები. ზოგადად, მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის ანაზღაურებული თანხის მესამე პირისათვის უპირობოდ დაკისრება არ იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად შემდეგ გარემოებათა გამო: მზღვეველსა და დამზღვევს შორის დამყარებულია სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც მხარეებს ანიჭებს კერძო ავტონომიის პრინციპის საფუძველზე ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის აბსოლუტურ თავისუფლებას, სუბროგაციული



მოთხოვნის შემთხვევაში კი მხარეთა შორის ვალდებულების წარმოშობის საფუძველია არა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება, არამედ არასახელშეკრულებო ვალდებულება, კერძოდ, როგორც წესი, დელიქტური ვალდებულება. სადაზღვევო ზიანისა და დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანის ერთმანეთთან გათანაბრება არ ჩაითვალა მიზანშეწონილად, ვინაიდან ისინი ხშირ შემთხვევაში შეიძლება არ იყოს ეკვივალენტური. შესაბამისად, გონივრულად არ იქნა მიჩნეული სამართალწარმოების პროცესში დამზღვევისათვის ასანაზღაურებელი თანხის ზიანის მიმყენებლისათვის უპირობოდ დაკისრება, საქმის ცალკეული გარემოებების ინდივიდუალური შეფასების გარეშე.

11. კვლევის შედეგად პირველად განხორციელდა ახალ - საპენსიო სამართლებრივ ურთიერთობაში ჩართულ სუბიექტთა სამართლებრივი სტატუსისა და მათი მდგომარეობის განსაზღვრა. საქართველოს კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე დადგინდა დამსაქმებლის სტატუსი, რომელიც ამ

სამართალურთიერთობაში წარმოადგენს ვალდებულ პირს. მას ეკისრება შენატანების განხორციელების მოვალეობა ყოველგვარი საპასუხო შესრულების გარეშე. ამდენად, მსგავსი ჩართულობა, მიუხედავად ლეგიტიმური მიზნების არსებობისა, იწვევს დამსაქმებლის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას არანებაყოფლობითობის საწყისებზე. დამსაქმებლისაგან სრულიად განსხვავდება დასაქმებულის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საპენსიო სქემაში ჩართვის სავალდებულო ფორმის მიუხედავად მნიშვნელოვან ქონებრივ სარგებელს იღებს, რაც მისი ინტერესების დაკმაყოფილების ვარგის სამართლებრივ საფუძველს ქმნის. ამ შემთხვევაში დასაქმებული გვევლინება არა მარტოდენ ვალდებულ სუბიექტად, არამედ ქონებრივი სიკეთის მიღებასა და სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე უფლებამოსილ სუბიექტად. რაც შეეხება სახელმწიფოს მონაწილეობას ამ სამართლებრივ ურთიერთობაში, მისი როლი უნდა შეფასდეს მარტოდენ მოსახლეობის სოციალური დაცვისა და

უზრუნველყოფილი სიბერის უზრუნველყოფის ჭრილში, რაც სოციალური სახელმწიფოს პრინციპის რეალიზაციის გამოხატულებად გვევლინება.

12. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საპენსიო სქემაში დამსაქმებელი გვევლინება უფლებრივი თვალსაზრისით ნაკლებად დაცულ სუბიექტად. არსებული საკანონმდებლო მოწესრიგება ხელყოფს დამსაქმებლის საკუთრების უფლებას, თუმცა აღნიშნულის გამართლებად დასახელდა პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტი და კაპიტალის ბაზრის განვითარების ინტერესები.

13. კვლევის შედეგად პირველად განხორციელდა ვალდებულების შესრულების სუბიექტთა საკითხის ანალიზი ციფრულ ეპოქაში ციფრულ პლატფორმებზე ხელშეკრულების დადებისას, ამ დროს არსებული ხარვეზებისა და შესაძლო რისკების იდენტიფიცირება. კვლევის შედეგად ყურადღება გამახვილდა ზოგადად ციფრულ პლატფორმებზე

ხელშეკრულების დადების რისკებზე, კერძოდ, ამ დროს მომხმარებლისათვის/შემძენისათვის ბუნდოვანი და გაურკვეველია, ვისთან ამყარებს სამართლებრივ ურთიერთობას, უფრო მეტიც, არ არის გამიჯნული პლატფორმის პროვაიდერისა და მესამე პირის/გამყიდველის პასუხისმგებლობის ფარგლები, მათი სამართლებრივი სტატუსი და ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში პასუხისმგებელი სუბიექტები. სწორედ აღნიშნული პრობლემა ქმნის დაბრკოლებებს მით უფრო იმ ფონზე, როცა უფრო და უფრო აქტუალური ხდება ისეთ ციფრულ პლატფორმებზე ვაჭრობა როგორცაა Amazon, eBay და სხვ. ამდენად, მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და ეფექტური სამართლებრივი ჩარჩოს უზრუნველყოფა, მათ შორის, სამართალურთიერთობის მონაწილე სუბიექტთა შორის პასუხისმგებლობის განაწილების კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონედ იქნა მიჩნეული.

14. კვლევის შედეგად ციფრულ პლატფორმაზე ხელშეკრულების დადების შემთხვევაში ერთ-ერთ პრობლემად განისაზღვრა ვალდებულების შესრულების სუბიექტთა იდენტიფიცირების შეუძლებლობა უფლების დაცვის თვალსაზრისით. კერძოდ, უფლების დაცვის მიზნით სარჩელით სასამართლოსადმი მიმართვისას მხარეს ეკისრება ვალდებულება წარადგინოს საქარველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული სარჩელის ფორმები. სარჩელის ფორმის დაუცველად წარდგენის შემთხვევაში კანცელარია არ დაარეგისტრირებს სარჩელს. სარჩელში სავალდებულოა მოპასუხის საიდენტიფიკაციო მონაცემების მითითება, როგორცაა მოპასუხის სახელი, გვარი, პირადი ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში - საიდენტიფიკაციო ნომერი). ამდენად, თუ მხარისათვის უცნობია პასუხისმგებელი სუბიექტი, არსებითად რთულდება და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება უფლების დაცვა. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის საერთაშორისო

დირექტივებთან სრული ჰარმონიზაცია, რის შედეგადაც უზრუნველყოფილ იქნება, მომხმარებლთა და მოვაჭრეთა სამართლებრივი უსაფრთხოება, ნათელი და განჭვრეტადი სამართლებრივი ჩარჩოს მიღების გზით, რომელიც დაეყრდნობა არსებითი მნიშვნელობის სამართლებრივ კონცეფციებს და დაარეგულირებს საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებულ ასპექტებს. სწორედ მსგავსი კანონმდებლობის შემუშავებით შეიძლება დასრულდეს გაურკვეველობა აღნიშნულ ბაზარზე.

15. კვლევის შედეგად გამოიკვეთა „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონით მოცემული საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების შინაარსის ფართოდ ინტერპრეტირების საჭიროება და მის ქვეშ ნებისმიერი ელექტრონული ფორმით თუ ელექტრონული მოწყობილობების მეშვეობით დამუშავებული და მიწოდებული მომსახურების მოქცევა, რომელიც ხორციელდება მხარეთა ფიზიკურად დასწრების გარეშე. საკითხის მსგავსი განმარტება მისცემს

მომხმარებლებს ინტერესების დაცვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, შედეგად, წახლისებს ციფრული პლატფორმების გამოყენებით სამართლებრივი ურთიერთობების დამყარებასა და უფლების ეფექტიანი დაცვის შესაძლებლობას.

16. მომხმარებლთა ინტერესების დაცვის მიზნით (ვინაიდან გაურკვეველი რჩება ელექტრონული ხელშეკრულების დადებისას ხელშეკრულების მხარის ვინაობა), კვლევის ფარგლებში შემთავაზებულ იქნა ბიზნეს ოპერატორის მიმართ მკაცრი მოთხოვნების დადგენის რეკომენდაცია ბრუნვის ე.წ. სუსტ მონაწილესთან შედარებით. აღნიშნული გამოიხატება იმაში, რომ თუ ბუნდოვანია შეთავაზებული ბიზნეს მოდელი, ბიზნეს ოპერატორი მიზანშეწონილია განხილულ იქნეს არა მხოლოდ სერვისის შემომთავაზებლად, არამედ ასევე სერვისის მიმწოდებლადაც და ამის მიხედვით მოხდეს მისი პასუხისმგებლობის განსაზღვრა.

17. კვლევის შედეგად მხარდაჭერილ იქნა პოზიცია, რომლის თანახმად, პლატფორმის ოპერატორი მარტოდენ შუამავლად თუ თავად პროვაიდერად განხილვა უნდა გადაწყდეს ობიექტური მიმღების ჰორიზონტიდან. კერძოდ, აღნიშნული დამოკიდებულ უნდა იქნეს პლატფორმის მომხმარებლების მიერ გონივრული განსჯისა და და ყველა ობიექტურად შეცნობადი გარემოების გათვალისწინების შესაძლებლობაზე. ამდენად, ციფრული პლატფორმის პროვაიდერის მიერ იმგვარი ინფორმაციის განთავსება ვებგვერდზე, რომელმაც საშუალო ინტერნეტ მომხმარებელში შეიძლება წარმოიშვას უშუალოდ მოვაჭრის პიროვნების ან სტატუსის თაობაზე ბუნდოვანება, უნდა ჩაითვალოს საკმარის საფუძვლად ამ უკანასკნელისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად.

18. კვლევის შედეგად, მომხმარებლის ინტერესების დაცვისა და შემდგომი რისკების თავიდან არიდების მიზნით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, პრაქტიკის გაზიარება ოპერატორისათვის მომხმარებლის



გაფრთხილებისა და ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების თაობაზე, თუ ამ უკანასკნელისათვის ცნობილია ცალკეული გარემოებების თაობაზე, რომელთაც შეიძლება არსებითად დააბრკოლონ კლიენტის სახელშეკრულებო მიზნების მიღწევა ან არსებითი გავლენა მოახდინონ მომხმარებლის არჩევანზე, დადოს ხელშეკრულება. ოპერატორის მიერ ინფორმაციის მიუწოდებლობა უნდა ჩაითვალოს ვალდებულების შეუსრულებლობად და წარმოშვას კონკრეტული სამართლებრივი შედეგები.

პროვაიდერის ხელმისაწვდომობასა და მომხმარებლისათვის მისაწოდებელ ინფორმაციასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია განმარტება დაეფუძნოს „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება „მომხმარებელთა უფლებების თაობაზე“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის 2011/83/EC დირექტივას და გონივრულად ჩაითვალოს მოვაჭრისათვის ელექტრონული ფოსტის მისამართისა და ფაქსის

თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დადგენა, თუ ამ უკანასკნელს ეს ინფორმაცია გააჩნია და გადაცემა არ მიაყენებს ზიანს. ამასთან, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის შენარჩუნების მიზნით, მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული შუამავლის გამყიდველად მიჩნევა და ნაკლიანი შესრულების შემთხვევაში პასუხისმგებლობის ასევე ამ უკანასკნელისათვის დაკისრება, თუ შუამავლის მიერ უგულებელყოფილ იქნა მომხმარებლისათვის მოვაჭრის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება.

19. ტექნოლოგიის განვითარების გზაზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულების შესრულება, ვინაიდან დისტანციური ხელშეკრულების დადებისას მომხმარებლებს თავად უწევთ თავიანთი პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომად გახდომა. ცალკეულ შემთხვევაში, მაგ., სამიუბო სისტემის მიმართ პასუხისმგებლობის

დაკისრებამ და პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების კონტროლის დადგენამ შესაძლოა მნიშვნელოვნად გაართულოს საძიებო სისტემის ფუნქციონირების პროცესი. ამდენად, მონიტორინგის ზოგადი ვალდებულების დაკისრება შეიძლება არ იქნეს გონივრული, თუმცა ინფორმაციის გამჟღავნების ან კანონიერების დარღვევისას ეფექტიანი რეაგირება (მათ შორის ინფორმაციის წაშლა) და მონაცემთა უსაფრთხოების მიზნით ვარგისი ღონისძიებების გატარება უნდა იქნეს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვის ვარგისი მექანიზმად დასახელებული.

20. კვლევის შედეგად გაზიარებულ იქნა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, სახელშეკრულებო ქსელები, როგორც წესი, ძალიან ფორმალიზებულია, როდესაც მსხვილ მრავალეროვნულ ფირმებს შორის სტრატეგიული ალიანსები მყარდება, მაშინ, როდესაც ფორმალური და არაფორმალური პირობების უფრო დაბალანსებული კომბინაცია არსებობს მცირე და საშუალო საწარმოების შემადგენლობით შემდგარ

სახელშეკრულებო ქსელებში. ამ უკანასკნელის ფარგლებში ფორმალური შეთანხმებების დონე იზრდება მათ ინტერნაციონალიზაციასთან ერთად, ხოლო არაფორმალური შეთანხმებების უფრო მაღალი ხარისხი არსებობს შიდა ქსელებში.

21. კვლევის შედეგად დადგენილ იქნა, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურა არ უნდა იქნეს შეფასებული კერძოსამართლებრივ აქტად, არამედ უდავოდ უნდა მიეკუთვნოს საჯაროსამართლებრივი ურთიერთობის სფეროს. აღნიშნული შეიძლება დასაბუთდეს თავად მომწესრიგებელი ჩარჩოს - „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პრეამბულით, რომელშიც მოქმედების სფეროდ განსაზღვრულია საავტომობილო ტრანსპორტის საქმიანობის სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული საფუძვლების დადგენა, რაც

თავისი შინაარსის საჯარო ინტერესის დაცვას ემსახურება.

სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია არ წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივ აქტს, არამედ ემსახურება საავტომობილო ტრანსპორტის სამართლებრივი და ორგანიზაციული საფუძვლების საჯარო სამართლებრივ მოწესრიგებას, მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნის მიღწევას, რაც თავისი სამართლებრივი ბუნებით სცდება კერძო სამართლის სფეროს და ადმინისტრაციული სამართლის სფეროს კუთვნილებას წარმოადგენს. ამდენად, ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაცია სრულად მიეკუთვნება საჯაროსამართლებრივი მოწესრიგების ფარგლებს და არ არის ვარგისი ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობის სამტკიცებლად. ამის საპირისპიროდ, „სავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 9<sup>1</sup> განსაზღვრავს მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების შექმნის წესს, კერძოდ, დასახელებული მუხლის შესაბამისად,

მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე პირის საკუთრების უფლების წარმოშობა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან. საკუთრების შეძენის შესაბამის ორგანოში რეგისტრაციის ფაქტთან დაკავშირება ჩანაწერი წარმოშობს ბუნდოვანებს სამართალურთიერთობის მონაწილეთა შორის. სწორედ დასახელებული ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით მოითხოვება ამ ცვლილების მიღება.

22. ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის იდენტიფიცირებისა და სამართლებრივი განსაზღვრულობის უზრუნველსაყოფად, რაც სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპების რეალიზაციის ვარგის სამართლებრივ მექანიზმს ქმნის, მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული კანონის საკმარისი სიცხადით ჩამოყალიბება, კერძოდ, „საავტომობილო

ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 9<sup>1</sup> მუხლი, რომელიც არეგულირებს მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის წესს, იმგვარი ჩამოყალიბება, რომელიც დააზუსტებს დასახელებული ნორმის მიზანს და მიუთითებს ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე არა საკუთრების წარმომშობ, არამედ მოძრაობის უსაფრთხოების მიღწევის ინტერესზე. ამდენად, ყოველგვარი ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების გათვალისწინებით მიზანშეწონილია „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების განხორციელება და 9<sup>1</sup> მუხლის შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბება:

***„მუხლი 9<sup>1</sup>. მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე რეგისტრაციის მიზნები***

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, მოძრაობის უსაფრთხოების მიზნებისათვის,

მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე პირის საკუთრების უფლების წარმოშობილად მიიჩნევა საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან.“.

23. ზემოთდასახელებულის გარდა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების შეძენის წესს ადგენს „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც თავისი შინაარსით განსხვავდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული მოძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის წესისაგან. „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანა საჭიროა, რათა უზრუნველყოფილ იქნას ნორმის ადრესატებისათვის მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგის განჭვრეტა, წარმოდგენილ საკანონმდებლო რეგლამენტაციებს შორის ბუნდოვანების აღმოფხვრა



და არსებულ სასამართლო პრაქტიკასთან შესაბამისობის დადგენა.

ამგვარი ცვლილების განხორციელებით უფრო მკაფიოდ განისაზღვრება მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე რეგისტრაციის მიზნები და ის არ იქნება მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების წარმომშობი ბუნების, შედეგად, აღმოიფხვრება მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების წარმოშობასთან დაკავშირებული პრობლემური ასპექტები.

აღსანიშნავია, რომ საკითხის შემოთავაზებული გადაწყვეტა უზრუნველყოფს სამართლებრივი სიცხადისა და განსაზღვრულობის მიზნის მიღწევას, თუმცა ვერ მოახდენს პრობლემის სრულყოფილად გადაჭრას შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში - სსკ) 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი სარჩელის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ღონისძიებად ითვალისწინებს ყადაღის დადებას ქონებაზე. ამასთან,

სასამართლოს გარდა, სახელმწიფოს მიმართ არსებული დავალიანების დაფარვის უზრუნველსაყოფად, ქონებაზე (მათ შორის, ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე) ყადაღის დადებას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური. იმ შემთხვევაში, თუ ყადაღს დაქვემდებარებულ ქონებას წარმოადგენს ავტოსატრანსპორტო საშუალება, სასამართლო, ისევე როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, ხელმძღვანელობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ გაცემული ცნობით. საინფორმაციო ცენტრში აღირიცხება მარტოოდენ რეგისტრირებული მონაცემები. ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ ავტოსატრანსპორტო საშუალების გასხვისების მიუხედავად არ მომხდარა სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების ასახვა, ყადაღის დადება ხდება ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა მომსახურების სააგენტოში ავტოსატრანსპორტო

საშუალების მესაკუთრედ რეგისტრირებული პირის ვალდებულების უზრუნველსაყოფად. შემდგომ მესაკუთრეს, როგორც შესრულების განხორციელებაზე არაუფლებამოსილ პირს, უწევს სასამართლოსადმი მიმართვა ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების მოთხოვნით, რაც იწვევს სასამართლოს უფრო მეტად გადატვირთვას. ამასთან, საქმის განხილვის ვადების გათვალისწინებით ხდება ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის ინტერესების არსებითად ხელყოფა, ვინაიდან ამ უკანასკნელს აღარ შეუძლია საკუთრების თითოეული კომპონენტით (ფლობა, სარგებლობა, განკარგვა) სარგებლობა.

ზემოაღნიშნული პრობლემების აღმოფხვრის, სამოქალაქო ბრუნვის სიმარტივისა და ბრუნვის მონაწილეთა ინტერესების ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება გაზიარებული „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 9<sup>1</sup> მუხლში ცვლილების შეტანის თაობაზე ზემოაღნიშნული

ინიციატივა, მიზანშეწონილია ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების შეძენის მიმართ სპეციალური მოწესრიგების დადგენა და ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების შეძენის წესის რეგისტრაციის განხორციელების ფაქტთან დაკავშირება. აღნიშნული უბიძგებს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს უფრო მეტი წინდახედულების გამოჩენისა და საკუთრების უფლების რეგისტრაციისაკენ.

მსგავსი პროექტის მიღების მიზნად შეიძლება დასახელდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების შეძენასთან დაკავშირებით არსებულ სასამართლო პრაქტიკასთან ამ კანონის შესაბამისობის უზრუნველყოფა. შედეგად, სამართლებრივ ბუნდოვანებასთან დაკავშირებული პრობლემის აღმოფხვრა.

ამდენად, მიზანშეწონილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსს 186-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1<sup>2</sup> ნაწილი:

➤ „1<sup>1</sup>. ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების შემძენზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაცია.“

სასამართლოს ზემოაღნიშნული განმარტების საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლის ნება იქნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის საკუთრების წარმომშობის როლის მინიჭება, რაც შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს ავტოსატრანსპორტო საშუალების, როგორც მომეტებული საფრთხის წყაროს შინაარსიდან გამომდინარე, აუცილებელია აღნიშნული საკანონმდებლო დონეზე დეკლარირებაც, რაც სწორედ 186- მუხლის 1<sup>2</sup> ნაწილის დამატებით რეალიზდება. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების მიმართ მოქმედებს

იურიდიული ფიქცია, რომლის მიხედვითაც, ის წარმოადგენს უძრავ ნივთს, უდავოა, რომ მისთვის დამახასიათებელი ნიშნების გათვალისწინებით, ავტოსატრანსპორტო საშუალება არის მოძრავი ნივთი, ვინაიდან ექვემდებარება გადაადგილებას.

ამდენად, აუცილებელია მოძრავ ნივთზე საკუთრების შექმნის მომწესრიგებელ ნორმებში სპეციალური მოწესრიგების დადგენა, რომელიც უშუალოდ ავტოსატრანსპორტო საშუალების, როგორც მომეტებული საფრთხის წყაროს, საკუთრების შექმნის წესს დაარეგულირებს. აღნიშნულის საჭიროება შეიძლება რამდენიმე ფაქტორით გამართლდეს:

- სამართლებრივი განსაზღვრულობის მოთხოვნის დაცვის აუცილებლობით, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენს;
- კანონმდებლის კვალიფიციური დუმილის დარღვევის თავიდან აცილების, შედეგად

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დაუბრკოლებლად რეალიზაციის მიზნებიდან გამომდინარე.

საგულისხმოა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა კანონმდებლის კვალიფიციური დუმილი, სასამართლოს მიერ საკითხის განსხვავებული განმარტება ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან არათავსებადია. ამდენად, მნიშვნელოვანია დემონსტრირდეს კანონმდებლის აშკარა ნება, რაც თავის მხრივ შეზღუდავს სასამართლოს დისკრეციას.

24. კვლევის შედეგად განისაზღვრა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი. მოქმედი კანონმდებლობით სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი სუბიექტის განსაზღვისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სატრანსპორტო საშუალების მფლობელის დადგენას,

რა დროსაც ნივთის მფლობელად მიჩნევისთვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენების ფარგლები, მოცულობა, კერძოდ, თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება პირს გადაცემული აქვს დროებით სარგებლობაში იმგვარად, რომ ამ უკანასკნელს ენიჭება საკუთარი შეხედულებისამებრ მისი გამოყენებისა და ნივთის გამოყენების შედეგად სარგებლის მიღების შესაძლებლობა, ეს უკანასკნელი უნდა იქნეს ჩაითვალოს მფლობელად; ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ხარჯების გაწევისა და მოვლაზე პასუხისმგებელ სუბიექტთა წრე.

25. ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული ზიანის მესაკუთრის (პირდაპირი მფლობელი) მიერ ანაზღაურებისას, რომელსაც არ მიუძღვის ბრალი ზიანის დადგომაში, ამ უკანასკნელს უნდა მიენიჭოს მიყენებული ზიანის უშუალოდ ზიანის მიმყენებლისაგან (არაპირდაპირი მფლობელი - მოიჯარე, დამქირავებელი, მონათხოვრე, შემნახველი და სხვ.) ანაზღაურების მოთხოვნის



უფლება. საკითხის მსგავსი გადაწყვეტა უბიძგებს ავტოსატრანსპორტო საშუალების არაპირდაპირ მფლობელს უფრო მეტი წინდახედულებისა და სიფრთხილის გამოჩენისაკენ, რაც სსკ-ის 999-ე მუხლის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს.

26. კვლევის შედეგად განისაზღვრა 7 წლამდე ბავშვის დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების სუბიექტად მიჩნევის საკითხი. ვინაიდან საკითხი შეეხება ბავშვის ინტერესების დაცვას, საკითხის შეფასებისას ამოსავალი უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზანი. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, კერძოდ, სსკ-ის მე-12 მუხლის მე-6 ნაწილი ქმედუუნარო პირის სტატუსს ანიჭებს მარტოოდენ 7 წლამდე ასაკის პირს (მცირეწლოვანს). ბავშვის უფლებათა კოდექსი მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბავშვად მიიჩნევა 18 წლამდე არასრულწლოვანს. ამდენად, ვინაიდან ბავშვის უფლებათა კოდექსის მიზნებისათვის 7 წლამდე არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) ბავშვს წარმოადგენს,

მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხი შეფასდეს სწორედ ბავშვის უფლებათა კოდექსში გამტკიცებულ პრინციპებთან მჭიდრო კავშირში.

სადავო საკითხის გადაწყვეტისას არსებობს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებლად ბავშვის (7 წლამდე პირის) მიჩნევა შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც რისკებს, ისე უპირატესობებს. მაგ., იმ შემთხვევაში, თუ 7 წლამდე პირი შეასრულებს სხვის საქმეს იმგვარად, რომ შესრულება მეპატრონის ინტერესთან თავსებადია, ეს უკანასკნელი ვერ მოითხოვს გაწეული ხარჯების ანაზღაურებას სწორედ სამართალსუბიექტად არაღიარების საფუძვლით, მაშინ როცა ანალოგიური საქმის სხვა პირის მიერ შესრულებისას ეს უკანასკნელი ისარგებლებს უპირატესობით.

მსგავსი მიდგომა არ უნდა ჩაითვალოს არასრულწლოვნის ინტერესების უფლებების დაცვის ეფექტურ მექანიზმად, ვინაიდან ბავშვის საკუთრება გაწეული ხარჯების ოდენობით მცირდება. მეორე

მხრივ, საკითხის ამგვარი გადაწყვეტა შეიძლება მიჩნეულ იქნეს არასრულწლოვნის ინტერესების დამცავ ნორმად, ვინაიდან დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას შეიძლება წარმოიშვას ზიანი, რისი ანაზღაურების ვალდებულებაც შემსრულებელს დაეკისრება. ვინაიდან ამგვარი ზიანის მიყენების რისკების მომეტებულად დადგომის საფრთხე არსებობს 7 წლამდე პირის მიერ საქმეთა შესრულებისას, შეიძლება ამგვარი მიდგომა ბავშვის ქონებრივი ინტერესების დამცავ ნორმადაც იქნეს მიჩნეული. სწორედ ამიტომ საკითხის გადაწყვეტისას უნდა მოხდეს ცალკეული შემთხვევების ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინება, მათ შორის, ბავშვის უნარებისა და დამდგარი შედეგების.

**Grigol Robakidze University**

**with the rights of manuscript**

**Thea Jugeli**

**“Obligation Fulfillment Entities”**

**Educational program: Law**

**Thesis submitted for the academic degree of Doctor of Laws**

**Abstract**

**Tbilisi**

**2024**

## Grigol Robakidze University

Scientific supervisor:

Zurab Dzlierishvili,

Doctor of Law,

Professor

Thesis is accessible at the library of Grigol Robakidze University, Tbilisi, N3 Irina Enukidze (Agmashenebeli Alley 13th km)

## **Table of contents**

Introduction.....	60
The tasks and objectives of the research.....	65
Scientific hypothesis.....	67
Conclusion.....	71

## **Introduction**

On November 25, 1997, a new civil code came into effect in Georgia, which is the result of the reception of German law. Nevertheless, the legislation of Georgia as a whole more or less shares the spirit of the EU legislation, there are certain issues directly related to the subjects of the fulfillment of the obligation, which are not formulated or regulated with sufficient clarity, which creates practical difficulties and creates risks related to the protection of rights for the participants in legal proceedings. Among the mentioned issues, it is worth noting the difficulties related to the separation of the subjects of the obligation and the participants in legal proceedings; issues of sufficient definition of legislation protecting consumer rights when concluding a contract through a digital platform and compliance with international directives of the proposed protection; The problem of determining the subject responsible for the compensation of non-contractual obligations, in particular, damage caused during the operation of a motor vehicle, liability without fault, objective justification and sufficient determination of the legal framework. The legal regulation of the above-mentioned issues is characterized by

incomplete/fragmented and in many cases vague regulations, which increases the interest of research.

